ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერია
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL

წერილის ნომერი: **38-3824264403**
თარიღი: **20/09/2024**

ადრესატი: საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია

მისამართი: ქალაქი რუსთავი, ხალხთა მეგობრობის გამზირი №29ბ;
საკონ.ნომერი: (+995 341) 222 854

2024 წლის 13 ივნისის №01/976 წერილობითი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე **(ს/კ: 02.07.04.057)** ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ამ ეტაპზე, არ იგეგმება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. ამასთან, წერილში მითითებული საკადასტრო ერთეული „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმის და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობა"-ზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №154 დადგენილების კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის შესაბამისად, მდებარეობს **საწარმოო ზონა - იზ 1.**

დადგენილების დანართი 3-ის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საწარმოო ზონა (იზ-1): სამეწარმეო ზონა არის ინდუსტრიული ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს საწარმოო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. ნებადართული სახეობებია: საწარმოო ობიექტი; ღია და დახურული საწყობი; ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი. საგამონაკლისო წესით: შეიძლება ასევე დასაშვები იყოს სხვა არამავნე მრეწველობის ობიექტები. განაშენიანების პარამეტრების ცხრილის მიხედვით სამშენებლო პოტენციალის მქონე მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობია 400 $მ^2$, ამავე ცხრილის მიხედვით რეგულირდება ზომებისადმი არსებული მოთხოვნები.

რაც შეეხება, მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციას, აღნიშნული ტერიტორიის სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ განკარგვასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ იგი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს უძრავი ქონების **(ს/კ: 02.07.04.057)** პრივატიზების პროცედურები.

პატივისცემით,

ნინო ლაცაბიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ
რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი